ალლაჰმა შეიწყალოს ის კაცი, ვინც ლმობიერია, როდესაც ყიდის, როდესაც ყიდულობს და როდესაც ვალს მოითხოვს

ჯაბირი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰმა შეიწყალოს ის კაცი, ვინც ლმობიერია, როდესაც ყიდის, როდესაც ყიდულობს და როდესაც ვალს მოითხოვს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრება აღავლინა მოწყალების თხოვნით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავაზიანნი, გულუხვნი და ხელგაშლილნი არიან თავიანთ ვაჭრობაში. და ვინც არ ამატებს ფასს მყიდველისთვის და ეპყრობა მას კარგი ზნეობით. ასევე, ყოველი იმ ადამიანისთვის, რომელიც თავაზიანი, გულუხვი და ხელგაშლილია, როდესაც ყიდულობს; ამასთან ერთად, არ იტყუება და აკნინებს საქონლის ღირებულებას. მათ შორის არის ის, ვინც გულწრფელი, გულუხვი და კეთილგანწყობილია, როცა თავის ვალს ითხოვს. ვინც არ არის მკაცრი ღარიბისა და გაჭირვებულის მიმართ, არამედ ვალის დაბრუნებას ითხოვს რბილად და თავაზიანად და აძლევს გადავადებას გადაუხდელობისუნარიან მოვალეებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3716

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee